უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია: ავტოკეფალიისკენ მიმავალი ხანგრძლივი და ეკლიანი გზა

ნუგზარ ბარდაველიძე

2014 წლიდან დაწყებული, რუსი პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, არასამთავრობო აქტივისტებისა თუ რიგითი პატრიოტი მოქალაქეებისათვის, ანტიუკრაინული რიტორიკა, პირველ ადგილზე გადმოვიდა და სრულად ჩაანაცვლა საჯაროდ გამოთქმული ანტიქართული განწყობები. ამის მიზეზი კი უკრაინელთა მიერ (რომელთაც რუსები თავიანთ ყველაზე ახლობელ და განუყრელ ნაწილად, „თითქმის რუსებად“ აღიქვამდნენ), ეროვნული თვითმყოფადობის, რეალური დამოუკიდებლობისა და ევროინტეგრაციისაკენ გადადგმული ნაბიჯები და „უფროსი ძმისგან“ რეალური გამიჯვნის პოლიტიკა გახდა.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებები უკვე მეხუთე წელია ცდილობენ ყოველივე, რაც კი უკრაინელთა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობასა და სულიერ-კულტურულ თვითმყოფადობას შეეხება, ეჭვქვეშ დააყენონ და აგრესიული, მიკერძოებული კრიტიკის ქარცეცხლში გაატარონ. ამ ანტიუკრაინული რიტორიკის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე, უკრაინის ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია და მისი იერარქები არიან, რომელთა მრავალწლოვანი ძალისხმევა მოსკოვის საპატრიარქოს მარწუხებიდან გათავისუფლებისა და ავტოკეფალიის მოპოვებისაკენ იყო მიმართული.

ავტოკეფალიის სურვილი და რუსული ეკლესიისაგან თავის დაღწევის სწრაფვა, ბოლო სამი საუკუნის მანძილზე, უკრაინელ მართლმადიდებელ სამღვდელოებაში, შეიძლება ითქვას ყოველთვის არსებობდა. გასულ საუკუნეში, საბჭოთა რეჟიმის დროს, უკრაინის ტერიტორიაზე მოქმედი მართლმადიდებელი სამრევლოების რიცხვი თითქმის ორჯერ სჭარბობდა რუსეთის ფედერაციაში არსებულ სამრევლოებს. სხვათა შორის, საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე მოქმედი სხვა ქრისტიანული კონფესიების სამრევლოებიც, რაოდენობითა და აქტიურობით, უსწრებდნენ

საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების ტერიტორიაზე მოქმედ სამრევლოებს. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან შესამჩნევი გახდა ეთნიკურად უკრაინელი სამღვდელოების რიცხოვნობის ზრდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. მაგალითად, 1977 წლისათვის, რმე-ის 75 ეპისკოპოსიდან 21 ეთნიკურად უკრაინელი იყო. ხოლო 80-იანი წლების ბოლოსათვის 77 ეპისკოპოსიდან 25 უკრაინელი გახლდათ, მათ შორის, 14 დასავლეთ უკრაინიდან.[1]

ეთნიკურად უკრაინელი იერარქების დაწინაურება რუსეთის ეკლესიაში ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროიდან იწყება, მიზეზი კი ამ სასულიერო პირთა მაღალი განათლებულობა იყო. „პეტრე გრძნობდა განათლებული სამღვდელოების აუცილებლობას და მან მასობრივად დაიწყო იმ უკრაინელი სასულიერო პირების დაწინაურება, რომელთაც კათოლიკურ სასწავლებლებში ჰქონდათ მიღებული განათლება, ევროპაში განათლებული უკრაინელების ეპისკოპოსად დაწინაურების ეს ტრადიცია შემდგომშიც გრძელდებოდა. მაგალითად, 1862 წლის მონაცემებით, რუსეთის 127 საეპარქიო მმართველიდან 70 უკრაინელი და ბელორუსი იყო, რუსი კი მხოლოდ 47“[2].

უკრაინის ქრისტიანთა „დიდი გამოღვიძება“ და საეკლესიო დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი, გასული საუკუნის 80-იან წლებში იწყება. ცხადია ამ გააქტიურებაში იოანე-პავლე II „ოსტ-პოლიტიკისა“ და აღმოსავლეთ ევროპელებისადმი მისი საჯარო მოწოდების – „ნუ გეშინიათ!“, წვლილიც არის. გორბაჩოვის „პერესტრიოკისა“ და „გლასტნოსტის“ ეპოქაში, ფართო ხასიათი მიიღო დასავლეთ უკრაინაში ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის აღდგენის მომხრეთა გამოსვლებმა. უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესია 1946 წელს საბჭოთა უშიშროების მიერ იქნა ლიკვიდირებული და მისი ტაძრები რუსეთის მართლმადიდებელი

---

[1] Молодов О.Б., Украинизация клира Архангельской епархии в 1950-е-1980-е гг., Вестник Екатерининского института, № 2 (26), 2014, 123.

[2] ბარდაველიძე ნ., მოსკოვისა და რომის დაპირისპირების პოლიტიკური მიზეზები, „რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი“, №1-2, 2009, 247.

ეკლესიისათვის გადაცემული. 1986 წლიდან დასავლეთ უკრაინაში, ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის მრევლის წევრები იწყებენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ წართმეული ტაძრების თვითნებური წესით უკან დაბრუნებას. მოსკოვის საპატრიარქო და ქვეყნის ხელისუფლება შეშფოთებული იყო უკრაინელი მორწმუნეების მიერ უკანონოდ ჩამორთმეული სატაძრო ნაგებობების დაბრუნების მასობრივი მცდელობების გამო. უნიატების გავლენით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან თავის დაღწევის სურვილი ნელ-ნელა უკრაინელ მართლმადიდებლებშიც ძლიერდებოდა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო დაიძაბა ურთიერთობა მოსკოვის საპატრიარქოსა და წმინდა საყდარს შორის. დასავლეთ უკრაინაში რუსი მართლმადიდებელი მღვდლები, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება უმაგრებდა ზურგს, უძლურები აღმოჩნდნენ მორწმუნე უნიატების ერთსულოვნების, სიმტკიცისა და რწმენის წინაშე. გაჩნდა რეალური საშიშროება, რომ უკრაინის უნიატური ეკლესია არა მხოლოდ დაიბრუნებდა თავის ძალაუფლებას დასავლეთ უკრაინაში, არამედ ეროვნული თვითშეგნების აღზევების ფონზე, აღმოსავლეთ უკრაინაშიც მოიკიდებდა ფეხს, სადაც მართლმადიდებელი ეკლესია მოსკოვის საპატრიარქოს სახით იყო წარმოდგენილი.

1989 წლის შემოდგომიდან, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების შედეგად, უკრაინაში სახელმწიფო კონტროლი რელიგიურ ორგანიზაციებზე შეწყდა (ანალოგიური პროცესი ვითარდებოდა საქართველოშიც), უკრაინელ მართლმადიდებელ სასულიერო პირებსა და მორწმუნეებში მოსკოვის საპატრიარქოდან დამოუკიდებლობის მიღების სურვილმა რეალური ხორცშესხმა დაიწყო. ამ პროცესს სათავეში 1966 წლიდან უკრაინის ეკლესიის ეგზარქოსი, კიევის მიტროპოლიტი და მოსკოვის საპატრიარქოს წმინდა სინოდის მუდმივი წევრი ფილარეტ დენისენკო ჩაუდგა. იმ დროისათვის მიტროპოლიტი ფილარეტი საკმაოდ გავლენიანი მღვდელმთავარი გახლდათ, – მაგალითად, 1990 წელს, იგი რუსეთის ახალი პატრიარქის არჩევისას ერთ-ერთი კანდიდატი გახლდათ.

1990 წლის 9 ივლისს უკრაინის ეპისკოპოსებმა მიტროპოლიტი ფილარეტი აირჩიეს თავიანთ წარმომადგენლად და თხოვნით მიმართეს მოსკოვის საპატრიარქოს, მიენიჭებინა უკრაინის ეკლესიისათვის ავტონომია. მოსკოვის პატრიარქმა ალექსი მეორემ მიტროპოლიტ ფილარეტს გადასცა სიგელი, რომლის ძალითაც ანიჭებდა უკრაინის ეკლესიას მართვაში დამოუკიდებლობას. იმავე წლის 25-27 ნოემბერს უკრაინის საეგზარქოსო გარდაიქმნა უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიად.

ამის შემდგომ უკრაინელ და რუს იერარქებს შორის, ურთიერთობა მეტად დაიძაბა. მოეწყო რამდენიმე საეკლესიო კრება, როგორც მოსკოვის საპატრიარქოს, ისე უკრაინის მართლმადიდებელ იერარქთა მიერ, არცერთი მხარე აპირებდა უკან დახევას და საკუთარი პოზიციების გადახედვას.

1991 წლის 24 აგვისტოს, მოსკოვში განხორციელებული წარუმატებელი პუტჩის შემდეგ, უკრაინის სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან, ახლად გამოცხადებული ქვეყნის ხელისუფლება და მისი ლიდერი ლეონიდ კრავჩუკი, მხარში უდგება უკრაინელ იერარქებს და მიტროპოლიტ ფილარეტს, რომელთანაც სახელმწიფოს პირველ პირს დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდა. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისათვის მიმართულ ხანგრძლივ ბრძოლაში, ქვეყნისა და ეკლესიის ლიდერების ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. სწორედ 1991 წლიდან ჩნდება დევიზი „დამოუკიდებელი სახელმწიფო – დამოუკიდებელი ეკლესია“ ("Незалежна держава - незалежна церква")[3].

1993 წელს უკრაინის ეკლესიის პრობლემის გადაწყვეტაში მსოფლიო საპატრიარქოც ჩაერთო. უწმინდესმა ბართლომეოსმა თავის იურისდიქციაში მიიღო უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია აშშ-ში და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია დიასპორებში. 1995 წელს კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შევიდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია კანადაში.

---

[3] Гудзик К., Независимое государство — независимая Церковь, газета “День”, 14.06.2007.

ისტორიული ექსკურსი

კიევის რუსეთში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების თარიღად 988 წელი მიიჩნევა. მატიანის თანახმად, სწორედ ამ წელს ხერსონესში, თავის ამალასთან ერთად მოინათლა კიევის მთავარი ვლადიმირი. თუმცა შავიზღვისპირეთის იმ ტერიტორიებზე, რომლებიც დღეისათვის უკრაინის რესპუბლიკის შემადგენლობაში ითვლება, ქრისტიანული ეპარქიები უკვე მეოთხე საუკუნიდან არსებობდნენ. 325 წლის ნიკეის საეკლესიო კრებას ესწრებოდნენ ფილიპე ხერსონესელი, კადმოს ბოსფორელი და თეოფილე გოთი. ეპარქია არსებობდა ფანგორიაში (აზოვის ზღვისპირეთი), რომელიც მეათე საუკუნიდან რუსეთის ეკლესიას დაექვემდებარა.

990 წელს კიევის რუსეთის მიწაზე შეიქმნა მიტროპოლია, რომელიც რიგითობით მე-60 გახდა, აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის 80 მიტროპოლიას შორის. კონსტანტინოპოლის პატრიარქი, კიევის მიტროპოლიტებად, როგორც წესი, ბერძენ იერარქებს გამოარჩევდა. სხვადასხვა ისტორიული წყაროს თანახმად, დაფუძნებიდან ვიდრე 1240 წლამდე, ანუ ბათო ხანის მიერ კიევის გადაწვამდე, კიევის კათედრის 28-მდე მღვდელმთავრის სახელია მოღწეული.[4]

ბიზანტიური ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი კიევის მიტროპოლიტებთან გაგზავნილ სიგელებს არა ცვილის არამედ ტყვიის (ე.წ. ბულა) ბეჭდით აგზავნიდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ კიევის მიტროპოლიტს ავტონომიის უფლება ჰქონდა მინიჭებული.

კიევის მიტროპოლიტს, კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ ბოძებული უფლებით, შეეძლო დაეფუძნებინა ახალი ეპარქიები, ხელი დაესხა ეპისკოპოსებისთვის. მაგალითად, ნოვგოროდის ეპარქიის მმართველი, რომელიც 1115 წლიდან უკვე მთავარ-ეპისკოპოსის ტიტულს ატარებდა, მას შემდეგ რაც მას ქალაქის

[4] История Религии, Москва, 2002, 156.

ვეჩე (საბჭო) აირჩევდა, შემდეგ უკვე კიევის მიტროპოლიტისგან იღებდა ხელდასხმას. კიევის რუსეთის ფეოდალურ, წვრილ სამთავროებად დაშლის შემდგომ, ეპისკოპოსების დანიშვნაში ადგილობრივი მთავრები ერეოდნენ, თუმცა კიევის მიტროპოლიტის პირველობას აღიარებდნენ.

მე-13 საუკუნისათვის რუსეთის მიწებზე 16 ეპარქია არსებობდა, მათი უმრავლესობა დღევანდელი უკრაინის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ვინაიდან იმხანად რუსეთი ჯერ არ იყო გაფართოებული აღმოსავლეთით, სადაც უნგრო-ფინური ტომები სახლობდნენ და არც მოსკოვის ეპარქია არსებობდა.[5]

მონღოლთა შემოსევამ რუსეთის ეკლესია დააზარალა. 1240 წელს, კიევის გადაწვის შემდგომ, მიტროპოლიტმა იოსებმა მიატოვა თავისი სამწყსო და კონსტანტინოპოლში გაიქცა. 1249 ახალმა მიტროპოლიტმა კირილმა, იმ მიზეზით, რომ ქალაქი მთლიანად გაპარტახებული იყო, კათედრა კიევის ნაცვლად გალიცკო-ვოლინში გადაიტანა. კიევის მიტროპოლიტ კირილის მიერ მე-13 საუკუნის 60-იან წლებში საეპისკოპოსი კათედრა დაარსდა ოქროს ურდოს სატახტო ქალაქში, რათა ქრისტიანობა გაევრცელებინათ თათარ-მონღოლთა შორის.

1276 წელს ოქროს ურდოში არსებული სარაის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი თეოგნოსტი, კონსტანტინოპოლის პატრიარქსა და საეკლესიო კრებას მიმართავს წერილით და სთხოვს განიხილონ საკითხი, უწყლო ველებზე მომთაბარე თათართა ნათლობის შესახებ. მღვდელმთავარი სთხოვს კრებას ვითარებიდან გამომდინარე ნება დართონ მონათლონ მომთაბარეები არა წყალში შთაფვლით არამედ წყლის თავზე ბკურებით და ღვინის ნაცვლად აზიარონ ქიშმიშით, რაზაც საეკლესიო კრებამ თანხმობა განაცხადა.[6]

აღნიშნული ფაქტი მხოლოდ იმ რეალობის დასადასტურებლად მოვიყვანეთ, რომ მე-13 საუკუნეში კიევის მიტროპოლიტის იურისდიქცია დამპყრობელი ოქროს ურდოს ტერიტორიაზეც

---

[5] მოსკოვის ეპარქიის დაფუძნების ოფიციალური თარიღია 1461 წელი.
[6] იქვე, 166.

ვრცელდებოდა და მისი მღვდელმსახურები თათარ-მონღოლთა შორისაც ეწეოდნენ მისიონერულ საქმიანობას.

მიტროპოლიტ კირილის მემკვიდრემ, მიტრიპოლიტმა მაქსიმემ, რომელიც თავდაპირველად კიევიდან მწყემსმთავრობდა, 1299 წელს, თათართა ძალმომრეობით შეწუხებულმა, თავისი კათედრა სუზდალის მიწაზე, ვლადიმირ-კლიაზმაში გადაიტანა. მისი შემდგომი მიტროპოლიტი პეტრე, ძლიერი მფარველის ძიებაში, იძულებული გახდა მოსკოვისათვის შეეფარებინა თავი.

1375 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, რუსეთის ეკლესიის მეთაურად ბულგარელი მღვდელმთავარი კიპრიანე დანიშნა. მოსკოვის მთავარმა და სამღვდელოებამ თავდაპირველად იგი არ მიიღეს და მალევე საერთოდაც განდევნეს. მრავალწლიანი წინააღმდეგობების შემდგომ, მიტროპოლიტმა კიპრიანემ შეძლო ოქროს ურდოსა და ლიტვის დიდი სამთავროს მიერ გადანაწილებულ რუსეთის მიწებზე არსებული მართლმადიდებელი ეკლესიის გაერთიანება. მოსკოვის მთავარი ივანე კალიტა, რომელიც თათარ-მონღოლთა ხელშეწყობით ცდილობდა საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას, ეკლესიის ერთიანობას ხელს უწყობდა. ლეგენდის თანახმად, 1395 წელს სასწაულმა იხსნა მოსკოვი თემურ-ლენგი შემოსევისაგან. ამ სასწაულის მიზეზად კი, მიტროპოლიტ კიპრიანეს მიერ ქალაქ ვლადიმირიდან მოსკოვში, ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატის გადაბრძანება გამოცხადდა. ამ პერიოდიდან იწყება მოსკოვის სამთავროს აღზევება, რაც ცხადია კონსტანტინოპოლთან ურთიერთობების გამწვავებების საბაბიც ხდებოდა.

1436 წელს, მოსკოვის მთავრისა და სამღვდელოების მიერ შერჩეული კანდიდატის, რიაზანის ეპისკოპოს იონას ნაცვლად, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა რუსეთის მიტროპოლიტად ბერძენი ისიდორე აკურთხა. ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე მიტრიპოლიტმა ისიდორემ მხარი დაუჭირა ეკლესიათა გართიანებას (უნიას). 1441 წელს მოსკოვში დაბრუნებული მიტროპოლიტი ისიდორე, ჯერ პატივით და ზარზეიმით მიიღეს, მერე დააპატიმრეს და შემდგომ ფარულად ხელი შეუწყვეს მის მოსკოვიდან გაქცევას, ხოლო ეპისკოპოსი იონა მიტროპოლიტად

გამოაცხადეს. კონსტანტინოპოლმა და რომმა არ მიიღეს მოსკოვის ეს თვითნებური არჩევანი და ისიდორეს მხარე დაიჭირეს. სულ მალე მიტროპოლიტი ისიდორე თავის მწყემსმთავრად აღიარეს პოლონეთისა და ლიტვის მართლმადიდებელმა ეპისკოპოსებმა.

1458 წელს, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა გრიგორი მამამ, პოლონეთისა და ლიტვის ეპარქიების მწყემსმთავრად, მიტროპოლიტ ისიდორეს თანამოაზრე, ეპისკოპოსი გრიგორ ბულგარელი განამწესა. პოლონეთის მეფემ და ლიტვის დიდმა მთავარმა კაზიმირ IV იაგელონჩიკმა პატივით მიიღეს ახალი მიტროპოლიტი. ფაქტობრივად, ლიტვის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიიღო თვითმართველობა. დღევანდელი უკრაინა და ბელორუსიაც იმხანად ადმისტრაციულად სწორედ ლიტვის დიდი სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. რაც შეეხება მოსკოვის რჩეულ მიტროპოლიტ იონას, მისი საეკლესიო იურისდიქცია მხოლოდ რუსეთად წოდებული ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მიწებზე გავცელდა. მიტროპოლიტმა გრიგორ ბულგარელმა 1469 წელს უარი თქვა რომის ეკლესიასთან უნიაზე და კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში განაგრძო შემდგომი მოღვაწეობა. მოსკოვის მიტროპოლიტმა, რომელიც კონსტანტინოპოლთან დაპირისპირებაში იმყოფებოდა, იერუსალიმის პატრიარქ იოაკიმესაგან 1464 წელს მიიღო კურთხევა მოსკოვის ეკლესიის ავტოკეფალიაზე. მოსკოვის ეკლესიის ავტოკეფალიამ საბოლოოდ დააშორა კიევისა და მოსკოვის მიტროპოლიები და ორად გაყო ძველი რუსული (კიევის) მართლმადიდებელი ეკლესია.

საყურადღებოა, რომ მე-15 საუკუნეში, გაყოფის შემდგომ არსებული 18 ეპარქიიდან კიევის მიტროპოლიას დაექვემდებარა 10 ეპარქია, მათ შორის, ლიტვის ტერიტორიაზე: კიევის, პოლოცკის, სმოლენსკის, ჩერნიგოვის, ლუცკის, ტუროვისა და ვლადიმირის ეპარქიები, ხოლო პოლონეთის ტერიტორიზე კი – გალიციის, პერემიშლის, ხოლმის ეპარქიები.[7]

[7] იქვე, 194.

მე-15 საუკუნის მიწურულიდან მოსკოვის მთავართა ამბიციები იზრდება, ყალიბდება პოლიტიკურ-იდეოლოგიური დოქტრინა „მოსკოვი – მესამე რომი“. მოსკოვის მთავრებმა სხვადასხვა ხერხით, მათ შორის ძალისმიერი, მიაღწიეს მეფედ კურთხევასაც და ეკლესიის ავტოკეფალიასაც. რუსი მონარქები საკმაოდ წარმატებით აღწევდნენ მეზობელი მიწების თავიანთ სამეფოსთან მიერთებას და ამ ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარებისას მუდმივად ცდილობდნენ თავი გამოეცხადებინათ მართლმადიდებელთა მფარველებად და ამ საფარველქვეშ, ჩარეულიყვნენ მეზობელი სახელმწიფოების საშინაო საქმეებში.

კიევის მიტროპოლია, მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური და ეთნო-კონფესიური წინააღმდეგობებისა, დამოუკიდებლად განაგრძობდა არსებობას. აღმოსავლელ თანამოძმეთაგან განსხვავებით, პოლონეთის სამეფოში ავტონომიური უფლებებით შემავალ უკრაინულ მიწებზე მეტნაკლები წარმატებით ვრცელდებოდა ევროპული განათლება. 1631 წელს კიევის მიტროპოლიტმა პეტრო მოგილამ, კიევის საძმო სკოლის ბაზაზე (სწორედ ამ კიევის საძმოს კოლაში მიიღო განათლება უკრაინის კაზაკთა მომავალმა გეტმანმა ბოგდან ხმელნიცკიმ), უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი – კიევის აკადემია დააფუძნა.[8]

1648 წელს პოლონეთის სეიმის მხრიდან არასამართლიანი განაჩენის გამო გეტმანი ბოგდან ხმელნიცკი იწყებს ბრძოლას პოლონელთა წინააღმდეგ, რაც მალე ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ვინაიდან ბოგდან ხმელნიცკიმ, თავის კაზაკებთან ერთად, პოლონელთა წინააღმდეგ ხანგძლივ ბრძოლებში წარმატებას ვერ მიაღწია, 1654 წელს მოწვეულ პერეიასლავის რადაზე, გადაწყდა ქვეშემრდომობა ეთხოვათ რუსეთისათვის. პერეიასლავის ხელშეკრულებით, რუსეთს უნდა დაეცვა უკრაინელი კაზაკები, ასევე, დამოუკიდებლობა უნარჩუნდებოდა კიევის მიტროპოლიას და უკრაინის ეკლესიას. გიორგიევსკის ტრაქტატის მსგავსად, რუსეთმა არც პერეიასლავის შეთანხმება

[8] Василенко Я., Хмельницкий, Зиновий Богдан, Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, т. 86, СПб, 1890-1907.

დაიცვა და 1667 წელს, პოლონეთთან დადებული ანდრუსევის ზავით, შეიერთა მარცხენა ნაპირის უკრაინა და კიევი. რაც შეეხება უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობას, იგი რუსეთის ეკლესიამ 1685 წელს დაიქვემდებარა, დაამტკიცა რა კიევის ახალი მიტროპოლიტი. 1686 წლიდან მოსკოვის საპატრიარქომ, პოლონეთთან შეთანხმებით, ოფიციალურად დაიქვემდებარა აღ-მოსავლეთ უკრაინის მიწები, ასევე რეჩ პოსპოლიტას შემადგენ-ლობაში დარჩენილი ოთხი უკრაინული ეპარქია.[9]

მართალია, უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობა ჩაყლაპა მოსკოვის საპატრიარქომ, მაგრამ პეტრე პირველის ევროპასთან დაახლოების სურვილმა, კიევის სასულიერო აკადემიაში განათლე-ბამიღებულ სასულიერო პირებს გზა გაუხსნა მაღალი იერარ-ქიული თანამდებობებისაკენ. 1700 წელს პეტრემ გამოსცა მითი-თება მალოროსიის (უკრაინის) სამღვდელობის მოწვევის შესახებ. უკვე 1702 წელს, უკრაინიდან მოწვეული მღვდლებიდან ერთი როსტოვის, მეორე კი ციმბირის მიტროპოლიტად დაინიშნა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ისევე, როგორც საქართველოში, უკრაინაშიც აქტიურად გაიშალა მოძრაობა წართმეული ეკლესიური დამოუკიდებლობისათვის. 1917 წლის მაისში, პოდოლსკისა და პოლტავის საეკლესიო კრებებზე გამო-ითქვა მზაობა, აღედგინათ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია – უკრაინულ ენაზე მსახურებითა და ეროვნული სასულიერო იერარქიით. უკრაინის საერო ხელისუფლებას (ცენტრალური რადა) ნაკლებად აინტერესებდა საეკლესიო საკითხები, ცენტრა-ლური რადას თავჯდომარემ, ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო

[9] ბოგდან ხმელნიცკის ისტორია, მარტინ ლუთერის ისტორიის მსგავსად, ადასტურებს, თუ რა დამანგრეველი პროცესები შეიძლება გამოიწვიოს ხელისუფლების მხრიდან საკუთარ მოქალაქეებთან დიალოგის არქონის სურვილმა და უსამართლო სასამართლო გადაწყვეტილებებმა. მსგავსი მაგალითები, სამწუხაროდ, საქართველოს უახლეს ისტორიაშიც მრავ-ლადაა.

მოღვაწემ, მიხაილ გრუშევსკიმ[10] საჯაროდ განაცხადა – „იოლად გავალთ ხუცესების გარეშეც“[11].

1918 წლის 7 იანვარს კიევის წმ. სოფიის ტაძარში გაიხსნა უკრაინის საეკლესიო კრება, რომლის ერთადერთე მიზანი უკრაინის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება იყო. თუმცა 23 იანვარს კიევს წითელი არმია მიადგა და საეკლესიო კრებამ მუშაობა შეწყვიტა.

1918-1920 წლებში, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, უკრაინის სამღვდელოება კვლავ შეეცადა ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით ავტოკეფალიის გამოცხადებას, კონსტანტინოპოლის პატრიარქთან დელეგაციაც კი გაგზავნეს. წითელი არმიის ხელახალმა ოკუპაციამ ეს მცდელობაც ჩაშალა. პეტლიურას არმიის მიერ კიევის დაკავების შემდგომ, 1920 წლის 5 მაისს, სრულიად უკრაინის მართლმადიდებელმა რადამ და უკრაინის ეროვნული მოძრაობის აქტივისტებმაუკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადეს. 1921 წელს მოსკოვის პატრიარქმა ტიხონმა კიევში გამოგზავნა თავისი ეგზარქოსი, რომელმაც მღვდლობა ჩამოართვა ყველა მღვდელმსახურს, ვინც უკრაინის დამოუკიდებელი ეკლესიის წევრად მოიაზრებდა თავს. შემდგომში საბჭოთა ხელისუფლებამ რეპრესიები დაატეხა უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მომხრეებს.

1930 წელს უკრაინის ავტოკეფალურმა ეკლესის კრებამ, რომელიც ჯერ კიდევ რეპრესიებს გადარჩენილი იერარქებისაგან შედგებოდა, შინაგან საქმეთა კომისარიატის ზეწოლით თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. 1935-1937 წლებში „გოლოდომორისა“ და მასობრივი რეპრესიების შედეგად უკრაინის ავტოკეფალური ეკლესია მთლიანად განადგურდა. უკრაინის ტერიტორიაზე აღარ დარჩა აღარცერთი მღვდელმსახური, რომელიც უკრაინულ ენაზე

---

[10] XIX საუკუნის 80-იან წლებში სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, პირველი ლიტერატურული ნაშრომებიც გიმნაზიაში სწავლის დროს გამოაქვეყნა.

[11] Соколов А.В., Государство и Православная церковь в России, февраль 1917-январь 1918 гг., СПб, 2014, 594.

ატარებდა მსახურებას. მხოლოდ აშშ-სა და კანადის ტერიტორიაზე შემორჩა უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის მოქმედი ეპარქია, რომელსაც ეპისკოპოსი იოანე ტეოდოროვიჩი ხელმძღვანელობდა.

გერმანული ოკუპაციის პერიოდში კვლავ იყო უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის აღდგენის მცდელობა. 1944 წელს, საბჭოთა არმიის მოახლოებასთან ერთად, უკრაინელმა სასულიერო პირებმა დატოვეს სამშობლო და ევროპას, ავსტრალიასა და ამერიკას შეაფარეს თავი. საბჭოთა ხელისუფლებამ, უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის ტაძრები, ისევე, როგორც 1946 ლიკვიდირებული უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის ტაძრები, სრულად გადასცა მოსკოვის საპატრიარქოს.

1989 წელს უკრაინის ავტოკეფალურმა ეკლესიამ აღდგენილად გამოაცხადა თავი. ამავე წლის 19 აგვისტოს ლვოვში, ფერიცვალების დღესასწაულზე, წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა საკრებულომ გამოაცხადა რუსეთის ეკლესიიდან გასვლა და უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის პირველი სამრევლო დაარეგისტრაციის მოთხოვნას 1800 მორწმუნე აწერდა ხელს. იმჟამინდელი საბჭოთა კანონმდებლობით, რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციისათვის 20 მორწმუნის ხელმოწერაც საკმარისი იყო. „უცხოელი პატრიარქები ვერ დაამყარებენ წესრიგს ჩვენს სახლში, ეს თავად ჩვენ უნდა გავაკეთოთ“ – ასეთი იყო ამ საკრებულოს წინამძღვრის მოწოდება. ეკლესიას შეუერთდა უკვე პენსიაზე გასული რუსეთის ეკლესიის ეპისკოპოსი იოან ბონდარჩუკი, რომელიც პირველ ეპისკოპოსად აირჩიეს. მიღებულ იქნა ეკლესიის წესდებაც. ლვოვის, ტერნოპოლის, ივანო-ფრანკოს, ვოლინის მრავალმა სამრევლომ მოსკოვის საპატრიარქო დატოვა და უკრაინის ავტოკეფალურ ეკლესიას შეუერთდა.

1990 წელს უკრაინის ავტოკეფალურ ეკლესიას კიევში გამართულ სრულიად უკრაინულ კრებაზე უკვე 7 ეპისკოპოსი და 200 მღვდელი წარმოადგენდა.

2001 წლის მონაცემებით, უკრაინის ავტოკეფალურ ეკლესიას უკრაინის ტერიტორიაზე ჰქონდა 11 ეპარქია, 561 სამრევლოთი და 404 მღვდელმსახურით.

2018 წლის 15 დეკემბერს კიევში გამართულ გამაერთიანებლ კრებაზე, როდესაც პერეისლავისა და ბელოცერკვის მიტროპოლიტი ეპიფანე დუმენკო აირჩიეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურად, უკრაინის ავტიკეფალურმა ეკლესიამ თვითდათხოვნა გამოაცხადა.[12]

ეკლესია და ლინგვისტური ბარიერები

მსახურების ენა ეკლესიაში გადამწყვეტ როლს ასრულებს, ოფიციალურ დონეზე შეიძლება ეს ფაქტი გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ატარებდეს, მაგრამ რეალურად კი მრევლისათვის უმთავრესი პრობლემა იყოს. ის, რომ ტრაპიზონის იმპერიაში მცხოვრები ლაზები, ოსმალური ანექსიის შემდგომ, ბერძნებისგან განსხვავებით, მალევე ისლამის მიმდევრები გახდნენ, ადვილად ასახსნელია, თუ ამ მოვლენას ლინგვისტური კუთხით შევხედავთ. ლაზებისთვის ხომ საეკლესიო მსახურება მათთვის უცხო, ბერძნულზე წარმოებდა და არა მშობლიურ ენაზე. ევროპული მასშტაბით რეფორმაცია, ასევე, იმ ქვეყნებში ჩაისახა და მოკლე ხანში მრავალრიცხოვანი მომხრეები შეიძინა, სადაც არარომანულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა და სადაც მე-16 საუკუნეში მღვდლების უდიდეს ნაწილი არც ფლობდა ლათინურ ენას. რომანულენოვან სამყაროში შესაძლოა ლათინურ ენაზე არც არავინ საუბრობდა, მაგრამ სამღვდელოებისა და წერა-კითხვის მცოდნე საზოგადოებისათვის ლათინური შესწავლა ან უბრალოდ გაგება, დიდი პრობლემა არ იყო. ამის დადასტურებად ის ფაქტიც გამოგვადგება, რომ ფრანგულ ენაზე ბიბლია პირველად მე-19 საუკუნის შუა წლებში ითარგმნა და გამოიცა. ჩვენს დღეებშიც, საქართველოში რუსულენოვანი მართლმადიდებელი მოსახლეო-

[12] Киевский патриархат и УАПЦ самораспустились перед Собором, РБК-Украина, 15.12.2018.

ბის ნაწილმა სხვადასხვა კონფესიის იმ რელიგიურ ჯგუფებს მიმართა, სადაც მსახურება რუსულ ენაზე წარმოებს. სომეხი მოსახლეობის ის სეგმენტი, რომლისთვისაც უცხოა სომხური ენა, იმ კონფესიებში ესწრება მსახურებას სადაც მათთვის ნაცნობ ენაზე მიმდინარეობს წირვა-ლოცვა. სწორედ ამ ფაქტორით იყო ნაკარნახევი გასული საუკუნის მიჯნაზე რუსეთის ეკლესიის მიერ მცირე ერების ენაზე მართლმადიდებლური მსახურების დანერგვის მცდელობა.

კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი, მე-19 საუკუნის მესხეთში, ეთნიკურად ქართველი კათოლიკე სამღვდელოება სომხურ-კათოლიკურ რიტზე (წმ. წირვის წესი) იყო გადასული. თუმცა ეთნიკურად ქართველებით დასახლებულ სოფლებში მსახურებას ქართულ ენაზე ატარებდნენ. მაგრამ როდესაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთის ხელისუფლებამ აკრძალა ქართულ ენაზე მსახურება და სომხურ-კათოლიკურ რიტის ტაძრებში მოითხოვა სომხურ ენაზე ჩატარებული ყველგვარი მსახურება, ქართველ კათოლიკეებს გაუჩნდათ ძლიერი პროტესტი და დაუპირისპირდნენ სომეხ კათოლიკეებს. ეს დაპირისპირება გრძელდებოდა მანამ, სანამ წმინდა საყდარმა მკვეთრად არ გაიმიჯნა ერთმანეთისგან ლათინური და სომხურ-კათოლიკური ეკლესიები.

დიდი ჩაღრმავება არ სჭირდება უკრაინის მართლმადიდებელთა მხრიდან საეკლესიო იურისდიქციასთან დამოკიდებულებებში გარკვევას. აღმოსავლეთ უკრაინაში, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რუსულენოვანია, მათი სიმპათია მოსკოვის საპატრირქოსკენაა მიმართული. აღმოსავლეთ უკრაინის მრევლის რუსულენოვანი ნაწილი შეშფოთებით უყურებს ეკლესიაში უკრაინული ენის გაბატონებას. ცენტრალურ უკრაინაში, სადაც მართლმადიდებელი მრევლი ორენოვანია, მეტი პოპულარობით სარგებლობს უკრაინული ეკლესია, რომელშიც მსახურება ძველ სლავურ ენაზე, ხოლო ქადაგებები უკრაინულ ენაზე სრულდება. დასავლეთ უკრაინაში, სადაც მოსახლეობა უკრაინულენოვანია, მოსახლეობა მხარს უჭერდა საეკლესიო მსახურებაში უკრაინული ენის დამკვიდრებას. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ სწორედ

ლვოვში ჩამოყალიბდა უკრაინის ავტოკეფალური ეკლესია, რომელშიც მსახურება უკრაინულ ენაზე წარმოებს. დასავლეთ უკრაინის მასშტაბით, ასევე, მრავალრიცხოვანია ბერძნულ-კათოლიკური ეკლესია, სადაც მსახურება უკრაინულ ენაზეც აღევლინება.

2018 წლის გაზაფზულზე, ერთიანი ავტოკეფალური ეკლესიის შექმნის იდეით გამოვიდნენ კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლ-მადიდებელი ეკლესია, უკრაინის ავტოკეფალური მართლ-მადდებელი ეკლესია და მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოთა ნაწილი. 2018 შემოდგომაზე მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა, მსოფლიო საპატრიარქოს მოსთხოვა, „შეეწყვიტა ჩარევა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საშინაო საქმეებში და არ დაერღვია მისი კანონიკური უფლებები“. ცხადია, უკრაინის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე მართლმადიდებლების უკან რუსეთი და მოსკოვის საპატრიარქოა, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, არ დაუშვას უკრაინაში რუსეთისგან დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობა.

ტომოსი

2018 წლის 9 აპრილს უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო სტამბოლში შეხვდა პატრიარქ ბართლომეოსს და მიიღო პირობა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ტომოსს მიიღებდა. 16 ივნისს უკრაინის უმაღლესმა რადამ მიიღო მიმართვა მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსისადმი, უკრაინის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ. უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია ქვეყნის პრეზიდენტისა და პარლამენტის მუდმივი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ცხადი ხდებოდა, რომ ტომოსის მიღება უკვე შორეული პერსპექტივა აღარ იყო. „ჩვენ პოლიტიკური დამოუკიდებლობა გვაქვს, ახლა სულიერი დამოუკიდებლობა უნდა მოვიპოვოთ“, – აცხადებდა პეტრო პოროშენკო.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდმა, 2018 წლის 9-11 ოქტომბრის სხდომაზე გააუქმა 1686 წელს მოსკოვის საპატრიარქოს მიერ გამოცემული, კიევის მიტროპოლიის მოსკოვის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარების სიგელის მოქმედება. ასევე, მოუხსნა ანათემა უკრაინის ორივე ეკლესიის მღვდელმთავარს და ისინი სამღვდელო ხარისხში აღადგინა. სინოდის სხდომაზე პატრიარქმა ბართლომეოსმა ყურადღება გაამახვილა საკუთარ პირველობაზეც. ქალკედონის მეოთხე მსოფლიო კრების დადგენილებით, კონსტანტინოპოლის პატრიარქს მეორე ადგილი ეკუთვნის რომის პაპის შემდგომ. კონსტანტინოპოლის პატრიარქის ქმედების საპასუხოდ, 15 ოქტომბერს მოსკოვის საპატრიარქომ გაწყვიტა ურთიერთობები მსოფლიო საპატრიარქოსთან.

2018 წლის 3 ნოემბერს პრეზიდენტი პოროშენკი კვლავ ეწვია სტამბოლს და პატრიარქ ბართლომეოსთან ხელი მოაწერა თანამშრომლობის ხელშეკრულებას. სტამბოლში უკრაინის პრეზიდენტის ეს ხშირი ვიზიტები ადასტურებდა, რომ უკრაინის პრეზიდენტისათვის ბოლო პერიოდის უმთავრესი საკითხი უკრაინის ეკლესიისათვის ტომოსის მინიჭება უყო და ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას იგი თავისი პრეზიდენტობის ვადის გასვლამდე სისრულეში მოიყვანდა.

15 დეკემბერს კიევის წმ. სოფიას ტაძარში შედგა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიების გამაერთიანებელი კრება. კრებას თავჯდომარეობდა მსოფლიო საპატრიარქოს გალიის (საფრანგეთი) მიტროპოლიტი ემანუელ ადამაკისი. ესწრებოდნენ აშშ-სა და კანადის უკრაინული ეკლესიების ეგზარქოსები. საპატიო სტუმრების სახით კრებაზე მოწვეულები იყვნენ პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო და უმაღლესი რადას თავჯდომარე ანდრეი პორუბიი. სწორედ უკრაინის ეკლესიების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი ეკლესიის მღვდელმთავრად, ტიტულით უნეტარესი მიტროპოლიტი კიევისა და სრულიად უკრაინისა, არჩეულ იქნა მღვდელმთავარი ეპიფანე.

კრების მეორე დღეს სტამბოლში, მსოფლიო პატრიარქის მონაწილეობით აღვლენილ წირვაზე უკვე მოიხსენიეს ახლად

დაფუძნებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტი ეპიფანე.[13]

უკრაინის სასულიერო და სახელმწიფო ხელისუფლება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების წინააღმდეგობრივ და რთულ გზაზე მიზანდასახულად, გეგმაზომიერად, კანონებისა და საოქმო მოთხოვნების დაცვით მოქმედებდა. პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ, უკრაინელ სამღვდელოებასთან და ეროვნულ ძალებთან ერთად თანამშრომლობით, ტომოსის მიღება თავის უმთავრეს მიზნად დაისახა. მსოფლიო საპატრიარქომ დაინახა ეს ერთსულოვნება და სრულიად კანონიკურ საფუძველზე გადაწყვიტა უკრაინის ეკლესიისათვის ტომოსის მინიჭება. მოსკოვის საპატრიარქოს წინააღმდეგობა და მუქარები ამაო გამოდგა. გამაერთიანებელი კრების შემდგომ საზეიმო მისალმებისას, პეტრო პოროშენკომ მაიაკოვსკის ერთი, შედარებით ნაკლებ ცნობილი ლექსის მონაკვეთი წაიკითხა – **„შენ მოსკალო, უკრაინაზე კბილს ნუ ილესავ!“**[14]

2019 წლის 5 იანვარს, სტამბოლში, წმ. გიორგის ტაძარში, მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა ხელი მოაწერა ტომოსს. ავტოკეფალიის მოსურნეთა ოცნება ახდა, უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო. 6 იანვარს, მიტროპოლიტ ეპიფნეს მსოფლიო პატრიარქმა ტომოსი გადასცა და მათ ერთობლივი წირვა ჩაატარეს ბერძნულ და უკრაინულ ენებზე. „დამოუკიდებლობის გზაზე ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ჩვენ გვქონდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ახლა სულიერი დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ“, წირვის შემდგომ საზეიმოდ განაცხადა პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ.

უკვე 7 იანვარს მიტროპოლიტმა ეპიფანემ, კიევის წმ. სოფიის ტაძარში ადგილობრივი ავტოკეფალური ეკლესიის მღვდელმთავრის რანგში, თავისი პირველი წირვა აღავლინა.

2019 წლის 30 იანვარს უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ოფიციალური რეგისტრაცია მიიღო. ამიერიდან მისი

---

[13] BBC News Україна, (16 декабря 2018).

[14] „მოსკალი“, „მოსკოველი“, უკრაინაში რუსების დამცინავი ეპითეტი.

ოფიციალური დასახელებაა „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კიევის მიტროპოლია“. 3 თებერვალს წმ. სოფიას ტაძარში, მიტროპოლიტ ეპიფანეს ინტრონიზაცია აღესრულა. ამით დასრულდა უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მიმავალი რთული და ეკლიანი გზის მთავარი ეტაპი, რომელიც უკრაინის ავტოკეფალიის მომხრეებმა, თავიანთი პრინციპულობის წყალობით, ლეგიტიმურად წარმართეს და წარმატებასაც მიაღწიეს. წინ შემდგომი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ეტაპია – ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა მხრიდან უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება. ეს პროცესი სავარაუდოდ ხანგძლივი იქნება, მაგრამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფარგლებში მოქმედი დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას ალტერნატივა არ აქვს. [15]

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია გამოწვევების წინაშე

მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიებს (ცხადია, მსოფლიო საპატრიარქოს გარდა), აფრთხობთ ახალი ადგილობრივი თვითმმართველი ეკლესიების წარმოქმნა. ყოველ ადგილობრივ მართლმადიდებელი ეკლესიას, თუ მას სახელმწიფო პოლიტიკა არ უდგას გვერდში, სეპარაციული მოძრაობების გააქტიურებისა და სქიზმის წარმოქმნის საფრთხე აქვს. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან გაჩნდა საკმაოდ რეალური პრობლემა და იგი ეთნოფილეტიზმის სახელითაც მონათლეს. მართალია, ეს გამოწვევა მეტნაკლებად გადაილახა, თუმცა სრულად არ მოხსნილა. ჩვენს რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც სტაბილურობა შედარებით მყიფეა, გარეშე ძალების ჩარევით ან მათ გარეშეთაც, შესაძლებელია განხეთქილების შეტანა ადგილობრივ ეკლესიების შიდა ერთიანობაში.

---

[15] 2019 წლის თებერვალში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციამ, ოდესის ეპისკოპოს პავლეს მეთაურობით, მოილოცა ათონის მონატრები, მათ შორის, ივერონიც.

უკრაინის მოვლენებმა, ადვილი შესაძლებელია, ხელი შეუწყოს სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებშიც განხეთქილებების გაღვივებას. ამ მხრივ, პირველი კანდიდატი ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიაა, რომლისგანაც გამოყოფას და აღიარებას ცდილობს მაკედონიის ეკლესია. სერბეთის ეკლესიას აქვს პრობლემები ჩერნოგორიისა და მაკედონიის ეკლესიებთან, ასევე, კონფლიქტი იკვეთება კოსოვოს ეკლესიასთან. ანტიოქიის საპატრიარქოს აქვს პრობლემები იერუსალიმის ეკლესიასთან. თუ გარეშე ძალების მხარდაჭერა იქნება, სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებშიც შესაძლებელია სეპარატისტული განწყობილებების გამოწვევა. მაგალითად, ესტონეთის მართლმადიდებლები წლებია ორად არიან გახლეჩილები, მოსკოვისა და კონსტანტინოპოლის იურისდიქციებში გადანაწილებულნი და ერთმანეთთან კავშირები სრულიად გაწყვეტილები აქვთ.

გასული საუკუნის 90-ან წლებში, სქიზმატური მოძრაობები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაშიც შეინიშნებოდა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე კი დე-ფაქტო ვერ ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქცია. დღეისათვის, საქართველოს სახელმწიფოსგან არაკონტროლირებად რეგიონებში მოქმედ საკრებულოებზე და სამლოცველოებზე, თავიანთ საეკლესიო მმართველობას მხოლოდ რომის კათოლიკე და ევანგელურ-ლუთერული ეკლესიები ახორციელებენ და ეს ერთიანობა ამ ეკლესიების იურისდიქციის სპეციფიკურობითაა განპირობებული.

დღეისათვის უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია არ უღიარებია კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობას. მსოფლიო საპატრიარქოს გარდა, უკრაინის ეკლესიას ევქარისტიულ თანაზიარება აქვს მაკედონიის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და ჩერნოგორიის ეკლესიასთან. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ნათლობებს აღიარებს უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესია, ასევე, აშშ-სა და კანადის უკრაინული ეკლესიები რომლებიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში არიან.

მიტროპოლიტ ფილარეტის დამსახურება მშობლიური ქვეყნის წინაშე, უკრაინის გმირის წოდებით, მრავალი სახელმწიფო

ორდენითა და ჯილდოთია აღნიშნული. მის განსაკუთრებულ ღირსებად კი უკრაინის დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ მღვდელმთავრობაზე უარის თქმას მიიჩნევენ. წლების მანძილზე თავისი შეუპოვრობით, მიტროპოლიტმა ფილარეტმა უკრაინის ეკლესია მოიყვანა ავტოკეფალიამდე და არავინ იქნებოდა წინააღმდეგი, თავად მას დაეკავებინა პირველი მწყემსმთავრის ტახტი. მიტროპოლიტმა ფილარეტმა მართლაც ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო – ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ეს პატივი ახალგაზრდა მიტროპოლიტ ეპიფანე დუმენკოს დაუთმო.

2019 წლიდან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია თავისი არსებობის ახალი ეტაპზე ავიდა, ხოლო ახალ გამოწვევებს, ახალგაზრდული ენერგია და ახალი ადამიანი სჭირდება. მხცოვანი მიტროპოლიტის ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სახარებისეული შეგონება გვახსენდება ახალ ღვინოსა და ახალ ტიკებზე – „არცა შთაასხიან ღჳნოჲ ახალი თხიერთა ძუელთა, რაჲთა არა განსთქდენ თხიერნი, და ღჳნოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ. არამედ შთაასხიან ღჳნოჲ ახალი თხიერთა ახალთა, და ორნივე დაიმარხნიან“[16].

მიტროპოლიტი ფილარეტი წლების მანძილზე საყოველთაო ყურადღების ცენტრშია, ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ მასთან დაკავშირებული მრავალი კრიტიკა და ცილისწამებაც გამოქვეყნდა მისი მოწინააღმდეგეების მიერ, მათ შორის საბჭოთა პერიოდში სუკთან თანამშრომლობასთან დაკავშირებითაც. 2012 წელს Weekly.ua-თან მიცემულ ინტერვიუში მიტროპოლიტმა განცხადა: **„მე მეუღლე არ მყავს და არც არასდროს მყოლია, ეს სიცრუეა. რაც შეეხება სუკ-ს, უნდა ავღნიშნო, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან დაკავშირებული იყო უკლებლივ ყველა მღვდელმთავარი! საბჭოთა დროს ვერავინ გახდებოდა მღვდელმთავარი, თუ ამაზე თანხმობას არ მისცემდა სუკი. ამიტომ მტკიცება**

[16] მათე, 9,17.

იმისა, რომ არ ვყოფილვარ დაკავშირებული სუკთან, არ იქნებოდა სიმართლე. კი, ვიყავი, როგორც ყველა. უნდა გაითვა-ლისწონოთ, რომ საბჭოთა ტოტალიტარულ სახელმწიფოში ყველა-ფერი კონტროლს ექვემდებარებოდა. მე უნდა შემეთანხმებინა ჩემი საქმიანობა სახელმწიფოსთან. მაგალითად, მღვდელმთა-ვარს არ ჰქონდა უფლება დაენიშნა სამრევლოში მღვდელმსახური სუკის თანხმობის გარეშე“[17].

მიმდინარე წლის 19 აპრილს, კიევის სტადიონზე გამართულ პრეზიდენტობის კანდიდატთა დებატების დროს ვლადიმირ ზელენსკიმ, უკრაინის ეკლესიისათვის ტომოსი მიღება მიტრო-პოლიტ ფილარეტის დამსახურებად გამოაცხადა.

და ბოლოს, შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აღიარება მხოლოდ დროის ამბავია და ის მაინც მოხდება. მთავარი გამოწვევა კი მოსკოვის საპატრიარქოსა და რუსეთის ფედერაციის ხელმძღვა-ნელთა სურვილია, იყვნენ პირველები მართლმადიდებლურ სამყაროში, განაგრძონ და რეალურად განახორციელონ „მოსკოვი-მესამე რომის“ პოლიტიკური თეორია. რუსეთის სახელმწიფოს, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე მუდამ გვერდში უდგას რუსეთის ეკლესიას, აქვს უდიდესი მატერიალური, პოლიტიკური და ადამიანური შესაძლებლობა, იბრძოლოს თავისი ამბიციების გასახორციელებისათვის.

ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოები, ასევე, სერ-ბეთისა და ბულგარეთის საპატრიარქოები და ზოგიერთი სხვა ადგილობრივი ეკლესია, აშკარად თუ შეფარვით, მხარს უჭერს მოსკოვის საპატრიარქოს და მისი ორბიტიდან გამოსვლა არც სურს. რაც შეეხება მსოფლიო საპატრიარქოს, მისი გავლენაც, წინა ათწლეულებთან შედარებით, იზრდება და იგი დამოუკი-დებლობის მაძიებელი ყველა მართლმადიდებლური საეკლესიო გაერთიანების მხარდამჭერს წარმოადგენს. მის დაქვემდებარე-

[17] Кислов А., Патриарх Филарет: Мы хотим создать нормальную церковь, Weekly.ua, № 2, 19-25.01.2012.

ბაშია აშშ-ის და კანადის მართლმადიდებელთა დიდი ნაწილი, რაც გულუხვ შემომწირველ მრევლს შეადგენს. ასე რომ, მომავალში მსოფლიო პატრიარქის გავლენა და პატივი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მოწინააღმდეგე მთავრობებიც, საერთაშორისო ბალანსის დაცვის სურვილით, მხარს დაუჭერენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს. თუმცა, ამ მხრივ, მსოფლიო საპატრიარქოს წინააღმდეგ, მოსკოვი თურქეთის ხელისუფალთა პრორუსული პოლიტიკის გამოყენებას ცდილობს. ადგილობრივი მართლმადიდებელ ეკლესიებზე თავისი ზეგავლენის შესანარჩუნებლად, მოსკოვი არ იშურებს არც საერთაშორისო გავლენებს, არც ფინანსებს, ზოგ შემთხვევაში მიმართავს სლავურ ფაქტორს ან სახელმწიფო ვერტიკალიდან ზეწოლას. რუსეთის ეკლესია სიტყვით, მართალია, არ აღიარებს აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, თუმცა რეალურად აფხაზეთის სასულიერო პირების დიდი ნაწილი, კარგა ხანია რუსეთის ეკლესიის მაიკოპის ეპარქიის დაქვემდებარებაში მოიაზრებს თავს. ასე რომ, მართლმადიდებლურ სამყაროში საკმაოდ მრავალი და ძლიერი წყალქვეშა პოლიტიკური დინებაა და მათი ქმედებების წინასწარ განსაზღვრა შეიძლება უფრო რთულიც იყოს, ვინაიდან აქ, საერთაშორისო ასპარეზზე წარმოებული პოლიტიკური თამაშებისაგან განსხვავებით, პოლიტიკასთან ერთად რწმენის ფაქტორიც მოქმედებს.

რაც შეეხება მსოფლიო საპატრიარქოს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბოლო ათწლეულებში მართლმადიდებლურ სამყაროში განვითარებული მოვლენები ადასტურებს, რომ მსოფლიო პატრიარქის გავლენები (მათ შორის, ფინანსური) და ძალაუფლება კიდევ უფრო გაიზრდება და ეს მოსკოვისა და ზოგი სხვა ადგილობრივი ეკლესიის ხარჯზე მოხდება. თავისი ძალაუფლების გაძლიერებისათვის მსოფლიო პატრიარქს კანონიკური საფუძვლების აქვს. ადგილობრივ ეკლესიებში წარმოქმნილი კრიზისების დროს, მსოფლიო საპატრიარქოს, როგორც გადაწყვეტილების მიღების ბოლო ინსტანციის, სტატუსი კონსტანტინოპოლის პატრიარქის ავტორიტეტსა და გავლენას, ცხადია, კიდევ უფრო გაზრ-

დის. და ეს არაა რომელიმე კონკრეტული იერარქის ან ადგილობრივი ეკლესიის ნება, არამედ შეუქცევადი და კანონზომიერი პროცესია.